იულიუს ფონ კლაპროთი (1783-1835) “მოგზაურობა კავკასიის მთასა და საქართველოში“

Klaproth, J., Voyage au Mont Caucase et en Géorgie par M. Jules Klaproth, professeur royal des langues et de la littérature asiatique et membre du conseil de la Société asiatique de Paris, Librairie de Charles Gosselin, II, Paris, 1823

De l'autre côté du Kour, le faubourg d'Awfabari, nouvellement bâti, est habité par les descendants de colons ossètes et kurdes. Autrefois on comptait dans Tiflis quinze églises grecques dans lesquelles on célébrait le service divin en ancien géorgien, vingt églises du rit arménien, et deux du rit catholique, dont la plus ancienne, nommée *Kharéba,* et dédiée à S. Joseph, tombe en ruine par suite des secousses de tremblement de terre: l'autre, bâtie il y a quelques années aux frais de l'empereur, n'est pas encore achevé (**5**); on y célèbre pourtant l'office divin. Près de cette église est la maison des missionnaires capucins, qui ne sont actuellement que trois. Il y a aussi deux mosquées à Tiflis: l'une pour les Persans schiites, l'autre pour les Tatares sunnites. Cette dernière a été détruite par Aga-Mohammed; mais son beau minaret est resté debout: elle fut bâtie, en 1710, par Isaak-pacha, commandant de l'armée turque. La maison du gouverneur de la Géorgie [Правитель Грузія], qui était de mon temps Fedor-Isaïitch-Akhwerdou, général de l'artillerie, est près du Kour: elle se trouve sur l'emplacement du superbe château bâti en 1658, dans le goût asiatique, par le roi Rostom, et dont Chardin a fait la description. On a commencé à y bâtir un grand édifice pour l'administration. Au reste, il n'y a dans toute la ville aucune maison grande ou remarquable par son architecture: on n'y voit que de misérables cabanes en pierre et généralement malpropres; cependant quelques princes géorgiens, accoutumés aux mœurs russes, se sont fait bâtir des maisons à deux étages et entourées d'une galerie. Fort peu de maisons ont des fenêtres: elles ne reçoivent le jour que (**6**) par des trous qui ne sont pas même bouchés avec du papier enduit d'huile.

მტკვრის მეორე ნაპირზე ახლად გაშენებული ავლაბრის გარეუბანია, რომელიც ოსი და ქურთი ჩამოსახლებულების შთამომავლებითაა დასახლებული. წარსულში ტფილისში არსებობდა თხუთმეტი ბერძნული ეკლესია, რომლებშიც ღვთისმსახურება ძველ ქართულ ენაზე აღესრულებოდა, ოცი სომხური აღმსარებლობის და ორი კათოლიკური ეკლესია, რომელთაგან უძველესი, სახელად ხარება, მიძღვნილი წმინდა იოსებისადმი, მიწისძვრის შედეგად ნანგრევებად იქცა: მეორე, რომელიც რამდენიმე წლის წინ აშენდა იმპერატორის ხარჯით, ჯერ არ დასრულებულა; მიუხედავად ამისა, იქ ღვთისმსახურება მიმდინარეობს. ამ ეკლესიის გვერდით არის კაპუცინი მისიონერების სახლი; ამჟამად მხოლოდ სამი მისიონერია შემორჩენილი. ტფილისში ასევე არის ორი მეჩეთი, ერთი შიიტი სპარსელებისთვის და მეორე სუნიტი თათრებისთვის. ეს უკანასკნელი აღა მაჰამედმა დაანგრია; მაგრამ მისი მშვენიერი მინარეთი კვლავ დგას: ის 1710 წელს ააგო თურქეთის არმიის სარდალმა ისააკ ფაშამ. საქართველოს გუბერნატორის – რომელიც ჩემს დროს არტილერიის გენერალი ფედორ-ისაევიჩ-ახვერდოვი[1] იყო – სახლი მტკვრის გვერდით დგას: ის შარდენის მიერ აღწერილ, 1658 წელს აზიურ სტილში როსტომ მეფის მიერ აშენებული დიდებული ციხესიმაგრის ადგილზე

[1] თედორე ესაიას ძე ახვერდოვი, თევდორე ახვერდაშვილი (1773-1820) – ქართველი აზნაურის, სეკუნდ-მაიორის, ესაია ვასილის ძე ახვერდაშვილის ვაჟი, საქართველოს მმართველად 1807 წელს დანიშნეს. 1808 წელს მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს; 1811 წელს გათავისუფლდა ამ თანამდებობიდან და ჩაირიცხა არტილერიაში; 1812 წლიდან კავკასიაში მოქმედი მე-19 ქვეითი დივიზიის მეთაურია; მივლინებულ იქნა თეირანში სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად. 1816 წლიდან იყო ქართული კორპუსის არტილერიის მეთაური.

დგას. იქ ადმინისტრაციის დიდი შენობის აგებაა დაწყებული. ამას გარდა, მთელ ქალაქში არც ერთი დიდი ან თავისი არქიტექტურით გამორჩეული სახლი არ არის; მხოლოდ საცოდავი, ძირითადად ბინძური, ქვის ქოხები ჩანს; ამასობაში, რუსულ წეს-ჩვეულებებს შეჩვეულმა ზოგიერთმა ქართველმა თავადმა ორსართულიანი სახლები ააშენა, გარშემო გალერეით. ძალიან ცოტა სახლს თუ აქვს ფანჯრები: დღის შუქი იქ (6) მხოლოდ ღიობებიდან აღწევს, რომლებზეც გაპოხილი ქაღალდიც კი არ არის დამაგრებული.

Tiflis a deux marchés *[bazari]* qui, ensemble, contiennent sept cent quatre boutiques, occupées principalement par des marchands arméniens, tatares et géorgiens. Très-peu de Russes ont des entrepôts de marchandises au bazar des Arméniens. On trouve dans ces marchés, comme dans ceux de l'Asie, des ateliers de toute sorte: une allée entière y est occupée exclusivement par des cordonniers, une autre par des bonnetiers et des maréchaux-ferrans ou des taillandiers. Les orfèvres, les fileurs en soie, les armuriers et les fourbisseurs, tous travaillent et offrent par leur activité un spectacle si divertissant aux étrangers, que *le* bazar est une des promenades les plus agréables de Tiflis. (7)

ტფილისში ორი ბაზარია, რომლებიც ერთად შეიცავს 704 დუქანს, რომლებიც ძირითადად სომეხ, თათარ და ქართველ ვაჭრებს უჭირავთ. ძალიან ცოტა რუსს საქონლის საწყობი სომხურ ბაზარში აქვს. ამ ბაზრებზე, ისევე როგორც აზიის ბაზრებზე, შეგიძლიათ იპოვოთ ყველა სახის სახელოსნო: მთელი რიგი უჭირავთ ექსკლუზიურად ხარაზებს, მეორე –ფეიქრებს, მჭედლებს ანუ ბასრი ხელსაწყოების მწარმოებლებს. ოქრომჭედლები, აბრეშუმის ამომხვევები, მესაჭურვლეები და ჭონები თავიანთი შრომით უცხოელებს ისეთ გასართობ სანახაობას სთავაზობენ, რომ ბაზარი ტფილისში ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო სასეირნო ადგილია.

On trouve dans les boutiques du bazar des marchandises russes, allemandes, tatares et persanes: mais tout y est très cher; et ce qui est surtout remarquable, c'est que les produits des manufactures asiatiques, comme les châles et les étoffes de soie, sont à meilleur marché à Saint-Pétersbourg et à Moscou qu'à Tiflis.

ბაზრის დუქნებში არის რუსული, გერმანული, თათრული და სპარსული საქონელი: მაგრამ ყველაფერი ძალიან ძვირია; განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ის არის, რომ აზიური მანუფაქტურების პროდუქცია, ისეთი, როგორიცაა შალები და აბრეშუმის ქსოვილები, პეტერბურგსა და მოსკოვში უფრო იაფია, ვიდრე ტფილისში.

On compte à Tiflis, indépendamment des (7) employés russes et de la garnison, dix-huit mille habitons, dont les Arméniens forment la moitié.

ტფილისში (7) რუსი მოსამსახურეებისა და გარნიზონის გამოკლებით, ცხოვრობს 18,000 მოსახლეა, რომელთაგან ნახევარი სომეხია.

Tiflis, ainsi que toute la Géorgie, était autrefois très pauvre; mais l'industrie des Arméniens, la quantité d'argent qui vient de Russie, et le commerce toujours actif avec les Tatares et les Persans, ont répandu l'aisance dans cette ville. Le commerce des Turcs avec *Akhal-tsikhé* et l'Asie mineure a cessé entièrement depuis la guerre.

ტფილისი, ისევე როგორც მთელი საქართველო, ოდესღაც ძალიან ღარიბი იყო; მაგრამ სომხების შრომამ, რუსეთიდან შემოსულმა თანხამ და მუდამ აქტიურმა ვაჭრობამ თათრებთან და სპარსელებთან, ხელი შეუწყო ამ ქალაქის კეთილდღეობას. ახალციხესთან და მცირე აზიასთან თურქების ვაჭრობა ომის შემდეგ სრულიად შეწყდა.

Les fameux bains chauds de Tiflis étaient autrefois magnifiques; mais ils tombent en ruine: cependant on en voit plusieurs dont les parois et le plancher sont revêtus de marbre. L'eau contient peu de soufre; l'usage en est très-salutaire. Les indigènes, et sur-tout les femmes, en font usage jusqu'à l'excès; les dernières y restent des journées entières, et y apportent leur repas. Pendant mon séjour à Tiflis, je pris les bains deux fois la semaine, et je m'en trouvai très-bien. Au sud du faubourg Isni ou Awlabari, on voit, sur un haut rocher, tout près du pont, l'église de la Rupture , appelée par les Géorgiens *Metekhi.* Sur la rive droite du Kour, il y avait autrefois, dans les cavités de la montagne, des raffineries (**8**) de soufre qui ont toutes été abandonnées. On tirait le soufre de pierres mêlées de pyrite, qu'on rangeait par couches dans un fourneau fermé et chauffe avec du charbon de bois. On voit encore de l'eau chargée de vitriol suinter des parois d'une grande crevasse dans les rochers. Sur le mont Thabori, près des bains chauds, s'élevait anciennement un fort, qui est aujourd'hui en ruine: c'était la résidence des seïds persans établis par Chah-Sefi. Le fort a, d'après leur nom, reçû celui de *Seïd-abad*. (9)

ოდესღაც ტფილისის ცნობილი ცხელი აბანოები შესანიშნავი იყო; მაგრამ ისინი ფუჭდება: თუმცა ჩვენ ვხედავთ რამდენიმეს, რომელთა კედლები და იატაკი მარმარილოთია დაფარული. წყალში ცოტა გოგირდია; მისი გამოყენება ძალიან სასარგებლოა. ადგილობრივები და განსაკუთრებით ქალები ამას ბოროტად იყენებენ; ეს უკანასკნელნი იქ მთელი დღეებით რჩებიან და იქ საკვები მოაქვთ. ტფილისში ყოფნის დროს კვირაში ორჯერ ვბანაობდი და თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. ისნის ან ავლაბრის გარეუბნის სამხრეთით, მაღალ კლდეზე, ხიდთან ძალიან ახლოს მოჩანს რღვევის ეკლესია, რომელსაც ქართველები მეტეხს უწოდებენ. მთის მარჯვენა ნაპირზე, ოდესღაც მთის ღრმულში, იყო გოგირდის გასაწმენდი მოწყობილობები, რომლებიც მიტოვებულია. გოგირდს პირიტთან შერეული ქვებიდან იღებდნენ, რომლებსაც ფენებად აწყობდნენ დახურულ ღუმელში და ქვანახშირით ათბობდნენ. თქვენ კვლავ შეგიძლიათ იხილოთ კლდეების დიდი ნაპრალის კედლებიდან გამოსული რკინის აჯასპით მდიდარი წყალი. თაბორის მთაზე, ცხელი აბანოების მახლობლად, ოდესღაც ციხესიმაგრე იდგა, რომელიც ამჟამად ნანგრევებშია: ეს შაჰ-სეფის მიერ დაარსებული სპარსელი სეიდების რეზიდენცია იყო. მათი სახელის მიხედვით, ციხეს სეიდ-აბადი ეწოდა.

D'après les renseignements qui m'ont été donnés par la police, on compte à Tiflis:
პოლიციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ტფილისში არის:
1 patriarche géorgien (katholikos), Antoni, fils du roi Irakli ,

ერთი ქართველი პატრიარქი (კათოლიკოსი), ანტონი[2], ერეკლე მეფის ვაჟი;
1 métropolite géorgien ,
ერთი ქართველი მიტროპოლიტი;
55 prêtres géorgiens,
55 ქართველი მღვდელი;
1 archiierei grec,
ერთი ბერძენი ეპისკოპოსი;
3 archimandrites grecs,
სამი ბერძენი არქიმანდრიტი;
1 archevêque arménien,
ერთი სომეხი მთავარეპისკოპოსი;
73 prêtres arméniens,
73 სომეხი მღვდელი;
8 archiierei arméniens ,
8 სომეხი არქიელი[3];
4 pères catholiques,
ოთხი კათოლიკე ბერი;
1 effendi tatare,
ერთი თათარი ეფენდი;
160 asnaouriou princes géorgiens,
160 ქართველი აზნაური;
216 thawadi ou gentilshommes id.,
216 ქართველი თავადი;
1983 mokalaki ou bourgeois,
1983 მოქალაქე;
251 sophelis-katsi ou paysans,
251 სოფლის კაცი ანუ გლეხი;
426 thawadis sophelis katsi, ou paysans serfs de gentilshommes,
426 თავადის სოფლის კაცი ანუ ყმა;
3684 maisons particulières.
3684 კერძო სახლი. (11)

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)

---

[2] ანტონ II (1764-1827) – ერეკლე I-ის ძე, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. 1811 წელს იგი რუსეთში გაიწვიეს, ცხოვრობდა ნიჟნი-ნოვგოროდში, დაკრძალულია იქვე, ხარების ტაძარში.

[3] არქიელი – უმაღლესი (მესამე საფეხურის) ქრისტიანული საეკლესიო იერარქიის სამღვდელოების ეპისკოპოსის, მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტის, ზოგადი სახელწოდება.